# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება

N 81 2019 წლის 14 თებერვალი ქ. თბილისი

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №506 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №506 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2011, 040030000.10.003.016666) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის:

1. პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცხრილის მე-17 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

| | | | |
|---|---|---|---|
| 17 | მცირე კინოდარბაზით სარგებლობა კინო, ვიდეო და აუდიო საპროექციო ტექნიკით | 1 საათი | 50,00 |

“.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ცხრილს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-19, მე-20, 21-ე, 22-ე, 23-ე და 24-ე პუნქტები:

„

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 | კინოთეატრით სარგებლობა* | 1 დღე<br>1 საათი | 900,00<br>300,00 |
| 20 | კინოთეატრში კინოსეანსის ბილეთი** | 1 ბილეთი | 5,00 |
| 21 | ფიზიკური ან/და იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული კინოფირის ელექტრონულ მატარებელზე გადატანა***: | | |
| | ა) 16 მმ-იანი კინოფირი (ნეგატივი, პოზიტივი, პოზიტივი ოპტიკური ფონოგრამით, პოზიტივი მაგნიტური ფონოგრამით, დუბლნეგატივი, დუბლპოზიტივი, 1903 x 1143 - Super 16 (Cintel Raw), 581 x 1154 - Standard 16 (Cintel Raw), FullHD (ProRes 422HQ, DPX, DNxHR) | 1 მეტრი | 1,00 |
| | ბ) 35 მმ-იანი კინოფირი (ნეგატივი, პოზიტივი, პოზიტივი ოპტიკური | 1 მეტრი | 3,00 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ფონოგრამით, დუბლნეგატივი, დუბლპოზიტივი (1:37, 1:85), 4 პერფორაცია, 3 პერფორაცია, 4K (Cintel Raw), 4K UHD (ProRes 422HQ, DPX, DNxHR) | | |
| 22 | ფიზიკური ან/და იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ფოტოს ელექტრონულ მატარებელზე გადატანა****: | | |
| | ა) 35 მმ-იანი ფოტოფირი (ნეგატივი, სლაიდი)<br>(3200 dpi-მდე, uncompressed TIFF) | 1 კადრი | 1,00 |
| | ბ) 60 მმ-იანი ფოტოფირი (ნეგატივი, სლაიდი)<br>(2400 dpi-მდე, uncompressed TIFF) | 1 კადრი | 2,00 |
| | გ) არასტანდარტული ფორმატის (9 x 12, 13 x 18 და სხვა) ფოტოფირი, მინის ნეგატივი ან სლაიდი<br>(1200-2400 dpi, uncompressed TIFF) | 1 კადრი | 4,00 |
| | დ) ფოტოანაბეჭდი (მაქს. A3 ფორმატი)<br>(600-2400 dpi, uncompressed TIFF) | 1 კადრი | 2,00 |
| 23 | ფიზიკური ან/და იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული აუდიოჩანაწერის ელექტრონულ მატარებელზე გადატანა****: | | |
| | ა) 35 მმ-იანი მაგნიტური ფონოგრამა (48kHz 24bit, Dual Mono, Wave) | 1 წუთი | 5,00 |
| | ბ) 35 მმ-იანი ოპტიკური ფონოგრამა | 1 წუთი | 5,00 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | (48kHz 24bit, Dual Mono, Wave) | | |
| | გ) აუდიოკასეტა (48kHz 24bit, Stereo, Wave) | 1 წუთი | 0,50 |
| | დ) 6 მმ-იანი მაგნიტური ფირი (4, 9, 19, 38, 76 სიჩქარე) (48kHz 24bit, Stereo, Wave) | 1 წუთი | 2,00 |
| | ე) ფირფიტა (33, 45, 78 სიჩქარე) (48kHz 24bit, Stereo, Wave) | 1 წუთი | 0,50 |
| 24 | ფიზიკური ან/და იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ვიდეოჩანაწერის ელექტრონულ მატარებელზე გადატანა****: | | |
| | ა) VHS ვიდეოკასეტა (DVD დისკი ან DV-AVI ან H.264 MP4) | 1 საათი | 10,00 |
| | ბ) VHS-C ვიდეოკასეტა (DVD დისკი ან DV-AVI ან H.264 MP4) | 1 საათი | 10,00 |
| | გ) DVCAM ვიდეოკასეტის ფაილად გადაწერა (DVD დისკი ან DV-AVI ან H.264 MP4) | 1 საათი | 20,00 |
| | დ) MiniDV ვიდეოკასეტის ფაილად გადაწერა (DVD დისკი ან DV-AVI ან H.264 MP4) | 1 საათი | 10,00 |
| | ე) Video8 ვიდეოკასეტა (DVD დისკი ან DV-AVI ან H.264 MP4) | 1 საათი | 10,00 |

**შენიშვნები:**

* კინოთეატრით სარგებლობა შესაძლებელია უფასოდ, ეროვნული არქივის ღონისძიებებისა და ერთობლივი პროექტების ფარგლებში;

** კინოსეანსის ბილეთის საფასურის 50%-იანი შეღავათით სარგებლობენ ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-16 და მე-17 პუნქტებით განსაზღვრული პირები;

*** ფიზიკური ან/და იურიდიული პირების შეკვეთით მათ საკუთრებაში არსებული კინოფირის ელექტრონულ მატარებელზე გადატანა საუკეთესო სინათლეზე (Best Light); მომსახურება არ შეიცავს ფერისა და გამოსახულების კორექციას, ასევე საპროექციო პაკეტის (DCP) დამზადებას;

**** ფიზიკური ან/და იურიდიული პირების შეკვეთით მათ საკუთრებაში არსებული ფოტო, ვიდეო, აუდიომასალის ელექტრონულ მატარებელზე გადატანის მომსახურება არ ითვალისწინებს მასალის კომპიუტერულ დამუშავებას.“.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **მამუკა ბახტაძე**